



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დაემატოს ახალი 7.1.16. პუნქტი შემდეგი რედაქციით, ხოლო მომდევნო პუნქტები გადაინომროს შესაბამისად:

„7.1.16. ბანკში კლიენტის სახელზე კონკრეტული ფულადი თანხის ოდენობაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის დაფიქსირების შემთხვევაში და იმ შემთხვევაში თუ საჯარო სამართლებრივი შეზღუდვით განსაზღვრული თანხისთვის საკმარისი თანხის მოცულობა განთავსებულია კლიენტის სხვადასხვა ანგარიშებზე, მოახდინოს კლიენტის ერთ ანგარიშზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვით განსაზღვრული თანხის სრული მოცულობის აკუმულირება, კლიენტის სხვა ანგარიშ(ებ)იდან (ყველა, რამდენიმე ან ერთი ანგარიშიდან) კლიენტის ერთ ანგარიშზე შესაბამისი თანხების გადარიცხვის გზით და მხოლოდ ამ ანგარიშზე გაავრცელოს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა.“